ახალი განათლება

2011 წელი, 15-21 სექტემბერი

ფასი 1 ლარი

№26 (540) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

დაიწყო ახალი სასწავლო წელი

წელს პირველად I-VI კლასების სახელმძღვანელოების ფასი 10 ლარს არ აღემატება

საქართველოს მშვიდობის კორპუსი

იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, უკვე თერთმეტი წელია, საქართველოს რეგიონებში წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს. კონკურსში შერჩეულ სკოლებს შესაძლებლობა ექნებათ: იმუშაონ ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან **2012-2014 სასწავლო წლების** განმავლობაში, ერთობლივი მუშაობის შედეგად აამაღლონ ინგლისური ენის სწავლების დონე, დანერგონ ახალი სასწავლო მეთოდოლოგია. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ სკოლებს, რომლებშიც ინგლისური ისწავლება უცხო ენად კვირაში **მინიმუმ 18 საათი**.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში:

მცხეთა-მთიანეთი
კახეთი
ქვემო ქართლი
სამცხე-ჯავახეთი
გურია
აჭარა
იმერეთი (საჩხერის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ქალაქი საჩხერე)
სამეგრელო (აბაშის და მარტვილის მუნიციპალიტეტები)
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ცაგერის მუნიციპალიტეტი

თუ თქვენი სკოლა ზემოთ აღნიშნულ რეგიონშია და დაინტერესებულია მოხალისესთან თანამშრომლობით 2012-2014 აკადემიურ წლებში:

1. გაეცანით საინფორმაციო ბროშურას (გამოიყენეთ გზამკვლევის სახით და დაიტოვეთ სკოლაში)
2. სრულად შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე)
3. შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმა მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ᵃ, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: education@ge.peacecorps.gov

შესავსები მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა **17 ოქტომბერი, 2011 წელი.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელს:

ასმათ სიხარულიძე
ტელ: (8 32) 224 12 24
ფაქსი: (8 32) 239 91 06
ელფოსტა:
asikharulidze@peacecorps.gov

თეო ნეფარიძე
ტელ: (8 32) 224 12 24
ფაქსი: (8 32) 239 91 06
ელფოსტა:
tneparidze@peacecorps.gov

გსურთ, სათანადოდ მოემზადოთ და იყოთ წარმატებული სკოლების წევრი?

„ლიბო მნტ“ გთავაზობთ ინტერაქტიული ტრენინგების კურსს შემდეგ მოდულებში:

დირექტორის მოადგილეებისთვის – 14 სთ

- ეროვნული სასწავლო გეგმის ორიენტირები;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
- სკოლის მისია;
- სასკოლო გეგმა და მისი შემადგენელი ნაწილები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სილაბუსი;
- შედეგების მონიტორინგი;
- ადამიანური რესურსების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- კორექციული და პრევენციული ღონისძიებები და ხარისხის უზრუნველყოფა;
- სასწავლო დოკუმენტების წარმოება;
- საგნობრივი კათედრების მართვის ეფექტური მექანიზმები;
- თვითშეფასების მექანიზმები.

საგნობრივი კათედრის გამგეებისთვის – 8 სთ

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია;
- სილაბუსების შედგენა;
- პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- მონიტორინგისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება;
- გამჭოლი პრიორიტეტების შესაბამისად კათედრათაშორისი აქტივობები.

ტრენინგების კურსებს წარუძღვებიან განათლების სპეციალისტები და გამოცდილი ტრენერები.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შემდეგ პირებს
ქრისტინე: 593577072 ნინო: 577281182
E-mail libo.mnt@ mail.ru
მისამართი: აკ. წერეთლის გამზირი №128

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს

დიპ კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

- **ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე**
  1 აკადემიური პერსონალი
  1 სრული პროფესორი
- **ბიზნესის მართვის კათედრაზე**
  1 სრული პროფესორი

საბუთების მიღება იწყება 2011 წლის 19 ოქტომბრიდან 2011 წლის 03 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე.
კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 05 დეკემბერს.
კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2011 წლის 09 დეკემბერს

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე
www.gttu.edu.ge
ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 266 15 12; 224 65 91

ინფორმაცია

საქართველოს პრეზიდენტმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინთან ერთად, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ათ სტუნდეტს საკუთარ ვენახში უმასპინძლა. მიხეილ სააკაშვილმა ახალგაზრდებს წარმატება მიულოცა, პროფესიული წინსვლა უსურვა და საჩუქრად საქართველოში დამზადებული მაღალი ხარისხის პორტატული კომპიუტერები გადასცა. შეხვედრა არაფორმალურ გარემოში მიმდინარეობდა – სტუდენტებმა პრეზიდენტთან ერთად მწვადიც შეწვეს.

როგორც დიმიტრი შაშკინმა აღნიშნა, 2011 წლის გამოცდებმა აჩვენა, რომ აბიტურიენტთა მომზადების დონე გასულ წლებთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო, რაც განათლების სფეროში განხორციელებულმა რეფორმებმა განაპირობა.

წელს საუკეთესო შედეგების მქონე ათივე სტუდენტმა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მათემატიკის ფაკულტეტებზე ჩააბარა, ხოლო ზოგადი მონაცემების მიხედვით, აბიტურიენტთა საერთო რაოდენობის 40 პროცენტი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ჩაირიცხა. წინა წლებთან შედარებით საინჟინრო ფაკულტეტებზე მოთხოვნა 102 პროცენტით, ხოლო ზუსტ და საბუმებისმეტყველო ფაკულტეტებზე – 43 პროცენტით გაიზარდა.

გაიზარდა მოთხოვნა უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზეც, სადაც წელს საკმაოდ დიდი კონკურსი იყო – თითო ადგილზე შვიდი განაცხადი.

შეიცვალა სახელმწიფო დაფინანსების სისტემაც. გრანტების 80 პროცენტი სწორედ საინჟინრო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე გადანაწილდა.

ინფორმაცია

2011-2012 სასწავლო წელს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

2011-2012 სასწავლო წელს საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებისათვის გამოყოფილია 1 073 000 (ერთი მილიონ სამოცდაცამეტი ათასი) ლარი.

სოციალური პროგრამით გათვალისწინებული თანხა გადაეცემათ დადგენილებით განსაზღვრულ კატეგორიებში შემავალ გარკვეული რაოდენობის სტუდენტებს (საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 მარტის №125 დადგენილება).

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარადგენს განცხადებას, რომლის ფორმა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №368 ბრძანებით.

დაფინანსების მისაღებად განცხადება, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით.

ვინ შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში:

I. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს სტუდენტმა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და განეკუთვნება ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

✓ სტუდენტები, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონით“ გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (შემდგომში ოკუპირებული ტერიტორია) არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ორი წლის განმავლობაში, სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აქედან:

ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათ შორის, აჟარის მუნიციპალიტეტში;

ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის, ქურთას, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში;

გ) საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში.

სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;

✓ სტუდენტები, რომლებიც არიან ობოლნი (უდედმამო);

✓ სტუდენტები, რომლებიც არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

II. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს სტუდენტმა, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა შემდეგი მიმართულებებისა ან დარგების/სპეციალობებისა: ა) სამართალი; ბ) ჯანდაცვა; გ) ბიზნესის ადმინისტრირება, გარდა ტურიზმისა; დ) მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა; ე) საერთაშორისო ურთიერთობები; ვ) საჯარო მმართველობა და განეკუთვნება ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

✓ სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, აქედან:

- მესტიის მუნიციპალიტეტში;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტში;
- ონის მუნიციპალიტეტში;
- ქედის მუნიციპალიტეტში;
- ხულოს მუნიციპალიტეტში;
- შუახევის მუნიციპალიტეტში;
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტში;
- დუშეთის მუნიციპალიტეტში (ბარისახოს, შატილის, ქვეშეთის, მლეთას, მაღაროსკარისა და გუდამაყრის სკოლებში);
- ადიგენის მუნიციპალიტეტში;
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში;
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში;
- წალკის მუნიციპალიტეტში;
- დმანისის მუნიციპალიტეტში;
- ახმეტის მუნიციპალიტეტში (პანკისის ხეობისა და ზემო და ქვემო ალვანის სკოლებში);
- ასპინძის მუნიციპალიტეტში.

✓ სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

✓ სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

✓ სტუდენტები, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები;

✓ სტუდენტები, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები;

სტუდენტები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე;

✓ სტუდენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრისპირა სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

თუ პროგრამით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, იგი გადაეცემათ:

✓ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებს, რომლებიც ჩარიცხულები არიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს სრული გრანტი ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, 2010-2011, 2009-2010, 2008-2009, 2007-2008, 2006-2007 სასწავლო წლის სოციალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში;

მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

იმ სტუდენტების საყურადღებოდ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხნენ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებსაც გაუუქმდათ ავტორიზაცია

იმ სტუდენტების საყურადღებოდ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხნენ შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში:

1. შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმი +“;
2. შ.პ.ს. ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი;
3. შ.პ.ს. დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერია“;
4. შ.პ.ს. ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი.

ამ დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტები, 12-დან 20 სექტემბრის ჩათვლით, უნდა დარეგისტრირდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, მობილობის პორტალზე www.eqe.ge. ზემოხსენებული უმაღლესი სასწავლებლის ყველა სტუდენტი დაკმაყოფილდება ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებელში ადგილით შესაბამის სპეციალობაზე.

სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში 2011-2012 სასწავლო წლისთვის

2011-2012 სასწავლო წელს, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისთვის გამოყოფილია 112 500 ლარი (საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის №274 დადგენილება).

სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 50 სტუდენტი, რომელთაც მინიჭებული აქვთ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი და რომლებიც საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე ჩაირიცხნენ მაგისტრატურის შემდეგ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. საერთაშორისო ურთიერთობები;
2. საერთაშორისო სამართალი;
3. საერთაშორისო სისხლის სამართალი.

სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტებმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, **2011 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით,** განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

პირადობის მოწმობის ასლი;

იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი;

ცნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის №507 ბრძანება.

2011 წლის იანვარში აფხაზეთის 12 საჯარო სკოლა ჩაერთო საგანმანათლებლო პროექტში „აფხაზეთის წლის მოსწავლე“. აღნიშნული პროექტი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, რომლის მიზანია: აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეთა აქტიური ჩართვა სასწავლო-შემოქმედებით და შემეცნებით-ანალიტიკურ საქმიანობაში; მოსწავლეთა წახალისება და მოტივაციის გაზრდა; მათი თვითრეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

პროექტის ბენეფიციარები X-XI კლასების მოსწავლეები იყვნენ, სულ – 386 მონაწილე. თითოეულმა სკოლამ შეარჩია წარმატებული მოსწავლე, რომელთაგან საუკეთესომ „აფხაზეთის წლის მოსწავლის“ სტატუსი მოიპოვა.

პროექტში გამარჯვებულ მოსწავლეთა სია: თეკლე შამათავა – აფხაზეთის №1 საჯარო სკოლა, XI კლასი; მარიამ უბილავა – აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა, X კლასი; ზაზა ღაჭავა – აფხაზეთის №3 საჯარო სკოლა, X კლასი; ლიკა ჯანელიძე – აფხაზეთის №5 საჯარო სკოლა, X კლასი; ნათია კორსანტია – აფხაზეთის №6 საჯარო სკოლა, XI კლასი; დიმა ქარჩავა – აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა, XI კლასი; გიორგი დანელია – აფხაზეთის №10 საჯარო სკოლა, XI კლასი; ლედი ჯალაღონია – აფხაზეთის №11 საჯარო სკოლა, XI კლასი; რატი

შარია – აფხაზეთის №12 საჯარო სკოლა, XI კლასი; ანა მაქაცარია – აფხაზეთის №14 საჯარო სკოლა, XI კლასი; მარიამ კვარაცხელია – აფხაზეთის №15 საჯარო სკოლა, X კლასი; პავლე წურწუმია – აფხაზეთის №21 საჯარო სკოლა, IX კლასი.

„აფხაზეთის წლის მოსწავლედ“ ლედი ჯალაღონია დასახელდა. თორმეტ ფინალისტს შორის გამარჯვებული აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა საპატიო სიგელითა და მედლით დააჯილდოვა.

მეორე ადგილზე ზაზა ღაჭავა გავიდა, მესამე ადგილი რატი შარიამ და თეკლე შამათავამ გაინაწილეს.

სამახსოვრო სიგელები და ფასიანი საჩუქრები (ოქსფორდის ენციკლოპედია) ფინალისტებს განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრმა ზაურ ჯალაღონიამ და ისან-სამგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ნესტან ზუღბაიამ გადასცეს.

დალი ხომერიკი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი: *„აღნიშნული პროექტი წელს პირველად ჩატარდა. აფხაზეთის საჯარო სკოლებმა წარმოადგინეს ნომინანტები, რომლებიც არიან საუკეთესო აკადემიური მოსწრების, ასევე მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო ოლიმპიადებსა და საგანმანათლებლო შემოქმედებით კონკურსებში. აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში“.*

ლედი ჯალაღონია, აფხაზეთის წლის საუკეთესო მოსწავლე: *„ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ გამარჯვებას. ნამდვილად დიდი წარმატებაა, როდესაც ამდენ საუკეთესო მოსწავლეს შორის იმარჯვებ“.*

2011-2012 სასწავლო წლის სიახლეები

15 სექტემბერს საქართველოს საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზაფხულის განმავლობაში არაერთ ახალ პროექტზე მუშაობდა, რის შედეგადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს წელს სკოლებში არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე ელით. პარალელურად, სამინისტრომ საატესტატო, შემდეგ კი ერთიანი ეროვნული, სამაგისტრო და სასერტიფიკაციო გამოცდები ჩაატარა, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ ქვეყანაში განათლების რეფორმა წარმატებით ხორციელდება, მეტიც – CAT-ის ტიპის საატესტატო გამოცდებს, რომელიც საქართველოში წელს პირველად ჩატარდა, მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. საერთაშორისო ექსპერტებისა და ევროპის განათლების კავშირის წარმომადგენელთა განცხადებით, ასეთი მასშტაბის საატესტატო გამოცდები არც ერთ ქვეყანაში არ ჩატარებულა.

საზოგადოებისთვის საინტერესოა, კონკრეტულად რა სიახლე ელით მოსწავლეებს ახალ სასწავლო წელს? 2011-2012 სასწავლო წლის სიახლეებზე სასაუბროდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ ოფისში მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა და მათ კითხვებს უპასუხა.

* * *

ერთ-ერთი მთავარი სიახლე ახალი ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმაა, რომელიც 15 სექტემბრიდან შედის ძალაში და I-VI კლასების მოსწავლეებს შეეხება, მომავალ წელს კი VII-XII კლასებში დაინერგება. წელს, პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, მოსწავლეები ისწავლიან ახალი გრიფირებული, მაღალი სტანდარტის მქონე სახელმძღვანელოებით, რომლებიც 5 წლის განმავლობაში არ შეიცვლება. მათი ფასი 10 ლარს არ აღემატება. სოციალურად დაუცველი ოჯახების მოსწავლეები კი, პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, წიგნებს სახელმწიფოსგან უფასოდ მიიღებენ.

რაც შეეხება სახელმძღვანელოების ფასს, ზოგიერთ სახელმძღვანელოზე 200%-ით დაიწია. იმისათვის, რომ მშობლებმა კომფორტულად შეიძინონ სახელმძღვანელოები, ყველა სკოლაში გამოკრულია პლაკატები და ბროშურები, თუ სად, რომელ მაღაზიაშია შესაძლებელი წიგნების შეძენა. მშობლებს შეუძლიათ სახელმძღვანელოები ინტერნეტის საშუალებითაც გამოიწერონ და სახლში უფრო იაფად მიიღონ ფოსტით, ვიდრე – მაღაზიაში. ფუნქციონირებს ასევე ბაზრობები. თბილისის რიგი სკოლები სახელმძღვანელოების სკოლაში მიტანას გეგმავენ.

მინისტრის განმარტებით, წელს პირველად, პირველკლასელები და მათი დამრიგებელი პრეზიდენტისაგან საჩუქრად მიიღებენ პერსონალურ კომპიუტერებს, ჩატვირთული სასწავლო პროგრამებითა და სახალისო შემეცნებითი თამაშებით. კომპიუტერები საქართველოშია დამზადებული და ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს.

წელს, ნებაყოფლობითობის მიუხედავად, სკოლაში 5 წლის ასაკის 20 ათასი ბავშვი შედის. ახალი ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმა სწორედ მათი ინტერესების გათვალისწინებით შედგა და სახალისო გაკვეთილებსა და ბევრ თამაშს მოიცავს. ამ ბავშვებისთვის გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთი იქნება. გარდა ამისა, გადამზადებულია ყველა დამრიგებელი, რომელთაც 5 წლის ბავშვებთან ექნებათ ურთიერთობა.

პერსონალური კომპიუტერი ბავშვის პირადი საკუთრება იქნება. მასში ჩატვირთული სასწავლო პროგრამებით, დაწყებული ქართული ენით, დამთავრებული ბუნებით, პატარა შეძლებს თვითგანათლებას. სამინისტროს პორტალზეც დაიდო და უკლებლივ ყველა სკოლაში გაიგზავნა კომპანია „ინტელი“ ახალი შემეცნებითი თამაშები, რომელიც ამჟამად ქართულ ენაზე ითარგმნება. ეს პროგრამები მნიშვნელოვანი იქნება იმავე ლოგიკის განვითარების კუთხით და სახალისო სწავლებისთვის. გარდა იმისა, რომ კომპიუტერს ქართული შრიფტი აქვს, ის მეტად გამძლეა და ადვილად არ ზიანდება. Microsoft-თან შეთანხმებით, კომპიუტერს აქვს ლიცენზირებული პროგარამა. მასში ჩაწერილია ლიცენზირებული Windows, რომელსაც Microsoft-ისკორპორაციის სპეციალისტების მიერ შექმნილი რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა მოჰყვება, მაგალითად, მათემატიკაში.

დენის წყაროს გარეშე კომპიუტერი, მინიმუმ, 4 საათის განმავლობაში იმუშავებს, ეს დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ბავშვმა გაკვეთილზე კომპიუტერი უპრობლემოდ გამოიყენოს. IT-ის სპეციალისტების აზრით, მომავალი 3-4 წლის განმავლობაში, მოსწავლე უპრობლემოდ შეძლებს კომპიუტერის გამოყენებას. შემდეგი კლასების პროგრამები უკვე დაწერილია.

გასულ წელს, სახელმძღვანელოებთან ერთად, კომპიუტერით სწავლება საპილოტე სკოლებში განხორციელდა. შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეებმა, რომლებიც სასწავლო პროცესში კომპიუტერებს იყენებდნენ, სასწავლო პროგრამა 2-ჯერ უფრო სწრაფად აითვისეს.

გარდა ამისა, ყველა მეათეკლასელი, რომელიც სრული ათოსანი იქნება, სახელმწიფოსგან საჩუქრად ერთ-ერთი საუკეთესო ბრენდის – LENOVO-ს ფირმის კომპიუტერს მიიღებს, რომელიც ასევე საქართველოშია წარმოებული.

დიმიტრი შაშკინი სასწავლო ინფრასტრუქტურის განახლებასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები 350 სკოლას ჩაუტარდა. აშენდა 12 ახალი სკოლა. თბილისის ყველა და საქართველოს დიდი ქალაქების სკოლები თანამედროვე ლაბორატორიებით აღიჭურვა. სკოლებში შეტანილია ახალი მერხები და დაფები.

ჟურნალისტები სამინისტროს ელექტრონული სტრატეგიით – E-strategy – დაინტერესდნენ. საქართველოს ისტორიაში პირველად, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მთლიანად სკოლების ადმინისტრაციის ელექტრონული ბაზები დაინერგება. მინისტრის განცხადებით, ახალი წლიდან სკოლებში ელექტრონული ჟურნალები ამოქმედდება. მშობელს, ამ ჟურნალის მეშვეობით, შეუძლია დააკვირდეს, როგორ სწავლობს და როგორ იქცევა მისი შვილი სკოლაში, ნახოს მისი აკადემიური მოსწრება, ნიშნები და ის შენიშვნები, რაც ბავშვმა სკოლაში მიიღო. შეიქმნება ელექტრონული ბიბლიოთეკები, მომავალში სკოლების მართვა ელექტრონულად მოხდება. მასწავლებლებისთვის საათები ელექტრონულ რეჟიმში გადანაწილდება, რითაც ნეპოტისტური კავშირები აღმოიფხვრება. ასეთი მართვით ყველა მასწავლებლის უფლება იქნება დაცული, საზოგადოებას სკოლაში მიმდინარე ხარჯების თაობაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა მიეცემა, სამეურვეო საბჭოებს – სკოლის მენეჯმენტის გაკონტროლების.

მნიშვნელოვანი სიახლეებია სკოლის მანდატურებთან დაკავშირებით. მთელი ზაფხულის განმავლობაში მანდატურები კომპიუტერსა და ინგლისურ ენას სწავლობდნენ. მათ ბავშვებთან მუშაობის ფსიქოლოგიური კურსიც გაიარეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზაფხულის პერიოდში ისინი სამაშველო კურსსაც გადიოდნენ. ყველა სკოლაში სამიდან ერთ მანდატურს მაშველის კვალიფიკაცია აქვს, რითაც ბავშვების უსაფრთხოება იქნება დაცული. მათ აქვთ როგორც რთულ სიტუაციებში მოქმედების, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების კუთხით გამოცდილება.

რაც შეეხება უცხოელი პედაგოგების საქართველოში ჩამოყვანას, წელს 1500 მასწავლებელი ჩამოვა. ეს პროგრამა კიდევ უფრო გაუმჯობესდება – სკოლებში ინგლისური ენის კაბინეტები გაიხსნება. ნახევარ მილიონზე მეტი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო გადანაწილდება სკოლებში. ეს არის ლიტერატურა სხვადასხვა სფეროდან, მათ შორის საბუნებისმეტყველო მიმართულებით.

მოამზადა ***ლალი ჯელაძემ***

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ წლიური ანგარიში წარუდგინა. მინისტრმა და პროგრამის მენეჯერმა მაია სიფრაშვილი-ლიმ მოწვეულ სტუმრებს პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგები გააცნეს და პროგრამის მომავალ მიზნებსა და სტრატეგიაზე ისაუბრეს.

ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში, უცხოელი ინგლისურენოვანი მასწავლებლები ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად ინგლისურს როგორც თბილისში, ასევე საქართველოს ყველა რეგიონში ასწავლიან. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ინგლისურად საუბრის პრაქტიკა ისეთ პედაგოგებთან გაიარონ, ვისთვისაც ინგლისური ენა მშობლიურია.

უცხოელი მასწავლებლების ანგარიშებზე დაყრდნობით, სამინისტრომ I-VI კლასის ინგლისური ენის სახელმძღვანელოების შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო. შედეგად, წელს საქართველოს ყველა საჯარო სკოლის I-VI კლასის, ხოლო 2012-2013 წლიდან უკვე VII-XII კლასის მოსწავლეები ინგლისურ ენას მაკმილანის სახელმძღვანელოებით შეისწავლიან. სამინისტროსა და მაკმილანის გამომცემლობას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი 2010 წელს გაფორმდა.

ინგლისური ენის სწავლების დონის ამაღლების პარალელურად, პროექტი ქვეყნებს შორის კულტურულ და საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამასაც წარმოადგენს. პროექტი მოსწავლეებს უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან კომუნიკაციაში და მათთან დაახლოებაში ეხმარება.

* * *

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა არჩილ გეგენავამ მთაწმინდის რაიონის 40-მდე მრავალშვილიან ოჯახს საჩუქრად სასკოლო სახელმძღვანელოები და კლასგარეშე ლიტერატურა გადასცეს.

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებას ესწრებოდა წმინდა პანტელეიმონის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი მთაწმინდელი. მრავალშვილიანი ოჯახის მოსწავლეებს მამა გიორგი მთაწმინდელმა ამერიკელი თანატოლების მიერ გამოგზავნილი საჩუქრები გადასცა.

კოკა სეფერთელაძე: *„ახალი სასწავლო წლისთვის სამინისტრო შესაბამისად ემზადება. განსაკუთრებულ ყურადღებას კი მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მიმართ იჩენს, რადგან სამინისტროს მიზანია, ყველა ბავშვს სწავლის თანაბარი საშუალება ჰქონდეს. ამიტომ, ასეთი ოჯახების მიმართ გამოჩენილი თანადგომა სამინისტროსთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.*

შეხვედრის დასასრულს ქართველმა მოსწავლეებმა ამერიკელ თანატოლებს მადლობის წერილები მისწერეს.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქალაქ ფოთში ახლად რეაბილიტირებული პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“ გახსნა. კოლეჯის სრული რეაბილიტაცია 2010 წლის ოქტომბერში დაიწყო. გარემონტდა სასწავლო კორპუსი და კეთილმოეწყო ეზო, სასწავლებელი სრულად აღიჭურვა ახალი ინვენტარითა და თანამედროვე ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკით, ამოქმედდა ცისკოს ქსელური აკადემია.

პრეზიდენტმა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სადურგლო, ელექტრიკოსის, სანტექნიკოსის, ელექტროშემდუღებლის, სამაცივრე მოწყობილობისა და შემკეთებლის სასწავლო სახელოსნოები დაათვალიერა და სტუდენტებს შეხვდა.

ქვეყნის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოლეჯი მომსახურების, მშენებლობისა და ტურიზმის სფეროსთვის ამზადებს შემდეგ სპეციალისტებს: ძრავის შემკეთებელი; სავალი ნაწილის ტექნიკოსი; მებათქაშე; შემდუღებელი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი; სარესტორნო საქმის მწარმოებელი; დურგალი; ელექტრიკოსი; სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი; ზეინკალ-სანტექნიკოსი; მეფილე-მომპირკეთებელი; რკინა-ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი; გიდი; ტუროპერატორი; კონდიტერი და სხვ.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფოთის პროფესიული კოლეჯისადმი ინტერესი. ორი წლის მანძილზე კოლეჯში 800-მდე სტუდენტი ჩაირიცხა. „ფაზისის“ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დასაქმებულია.

* * *

სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მენტორ მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსი დაიწყო. ამ თემასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა ბრიფინგი გამართეს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენების, დაწყებითი საფეხურისა და სამოქალაქო განათლების სერტიფიცირებულ პედაგოგებს, რომლებსაც პედაგოგად მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება აქვთ და საჯარო ან კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ასწავლიან.

სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, რომელთაც ხელფასზე 75-ლარიანი დანამატი აქვთ, მენტორობის შემთხვევაში, ანაზღაურება დამატებით კიდევ 160 ლარით ეზრდებათ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულ მენტორ მასწავლებლებს, ხელფასის გაზრდასთან ერთად, დამატებითი კრედიტებიც უგროვდებათ.

მენტორ მასწავლებლის პროგრამა უკვე მეორე წელია მოქმედებს. გასულ წელს პროგრამა მხოლოდ 7 ძირითად ქალაქში ფუნქციონირებდა, წელს ეს რიცხვი 10-მდე გაიზარდა. 2011-2012 სასწავლო წლიდან მენტორ მაწავლებლებს მუშაობა შეეძლებათ: თბილისის, გორის, თელავის, ახალციხის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ოზურგეთისა და რუსთავის სკოლებში.

* * *

ქობულეთის პროფესიულ კოლეჯში „ახალი ტალღა“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და სასტუმროს მშენებლობის მიმდინარეობას დიმიტრი შაშკინი გაეცნო.

რეგიონული ცენტრების გაძლიერება სამინისტროსთვის პრიორიტეტულია, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქობულეთის პროფესიულ კოლეჯს, ძლიერ სასწავლო ბაზასა და ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად, ჰქონდეს კომფორტული საერთო საცხოვრებელი, რომელიც მაღალმთიანი აჭარიდან, გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და სვანეთიდან 300-მდე სტუდენტს მოემსახურება.

თანამედროვე სასტუმრო საშუალებას მისცემს სასწავლებელს, ორგანიზება გაუკეთოს საერთაშორისო კონფერენციებს, ტრენინგებს, სემინარებს. ცენტრში სისტემატურად ჩამოდიან უცხოელი სპეციალისტები, ტურიზმის დარგის კონსულტანტ-ექსპერტები, ხდება სტუდენტთა გაცვლა. ცენტრში, საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციასთან ერთად, დამატებით, 30 კლასკაბინეტიც გაკეთდება. საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო გარემო გაზრდის კვალიფიციური კადრების მომზადების დონეს, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს აჭარის რეგიონში ტურიზმის განვითარებას.

ქობულეთის პროფესიულ კოლეჯში „„ახალი ტალღა“, ძირითადად, მსურველთა გადამზადება ტურიზმის მიმართულებით ხდება: ტურიზმის ბიზნესი, სასტუმროს მენეჯერი, ტუროპერატორი, ბარის მენეჯერი, მიმტანი, სასტუმროს მომსახურე პერსონალი, სასტუმროსა და სარესტორნო ტექნიკის შემკეთებელი, კვების ობიექტის მენეჯერი, მზარეულ-კონდიტერი, უცხოენოვანი გიდი (დასავლეთ საქართველოს რეგიონის), პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელ-ოპერატორი და ოპერატორ-ინსტრუქტორი.

ცენტრში განახლებული პროგრამებით გადამზადებულ სტუდენტთა 70% უკვე დასაქმებულია სასტუმროებში: „შერატონ ბათუმი“, „რედისონი“, „ჯორჯიან პალასი“, „პიაცა“, „ბონი“, „ოაზისი“, „ელბაკური“, „სავანე“ და სხვ.

* * *

საქართველოს მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების დისტრიბუციის პროცესის ფარგლებში, საქართველოს ფოსტის საშუალებით, სახელმძღვანელოები პირველად აჭარის რეგიონში გაიგზავნა.

რეგიონში სახელმძღვანელოების ჩატანის პროცესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი დაესწრო.

გიორგი ჩახნაშვილი: *„სოციალურად დაუცველი ყველა მოსწავლე, რომელიც 2011 წლის 15 სექტემბერს სკოლაში გამოცხადდება, სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებს. ამ მიზნით, სახელმწიფომ 8 მილიონი ლარი გამოყო, რომლითაც 800 000 სასკოლო სახელმძღვანელო იქნა შეძენილი.*

პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, მოსწავლეები, რომელთა ოჯახებისთვის მინიჭებული ქულა 70 ათასის ქვემოთაა, ყველა სახელმძღვანელოს უფასოდ მიიღებენ. სახელმძღვანელოები, ასევე, გადაეცემათ მეშვიდედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით მოსწავლეებს, რომელთა ოჯახების ქულა 57 ათასის ქვემოთაა“.



სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები, მომავალ წელს, სასკოლო ბიბლიოთეკებში დარჩება და მათი გამოყენება სხვა მოსწავლეებსაც შეეძლებათ. სასკოლო ბიბლიოთეკები ეტაპობრივად შეივსება.

* * *

2011-2012 სასწავლო წელს წალენჯიხის რაიონის 1700-მდე მოსწავლე რეაბილიტირებულ შენობებში განაგრძობს სასწავლო პროცესს. მიმდინარე წელს წალენჯიხის რაიონის 8 სკოლას სრული სარეაბილიტაციო სამუშოები ჩაუტარდა. აშენდა ახალი სასწავლო კორპუსები, რომელთაგან 7 სკოლა აფხაზეთის ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს. წალენჯიხის რაიონის სკოლებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მი-

ნისტრმა დიმიტრი შაშკინმა დაათვალიერა.

მინისტრმა ქ. ჯვარის სრულად რეაბილიტირებული 1 საჯარო სკოლა მოინახულა. სკოლაში მთლიანად განახლდა ინფრასტრუქტურა, გაკეთდა გადახურვა, დაიგო ახალი იატაკი, შეიღება ჭერი, მოწესრიგდა სველი წერტილები, ელექტრობა, გამოიცვალა კარები და დამონტაჟდა გათბობის სისტემა, შეიღება შესასვლელი, საკლასო ოთახები, კიბის უჯრედები და დერეფნები.

სკოლას აქვს თანამედროვე ტიპის კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა (საცავით). წელს, პროგრამა „აინშტაინის“ ფარგლებში, სკოლას საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების თანამედროვე ლაბორატორია გადაეცა. ახალი სასწავლო წლიდან სკოლის მოსწავლეებს ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის გაკვეთილები თანამედროვედ აღჭურვილ ლაბორატორიებში ჩაუტარდებათ.

ახალი სასწავლო წლისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 4 სკოლა შენდება, ხოლო 42 საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია უტარდება.

* * *

წელს პირველად, წიგნების დისტრიბუციის პროცესში საქართველოს ფოსტა ჩაერთო. სურვილის შემთხვევაში, მშობლებს შესაძლებლობა ეძლევათ, საქართველოს ფოსტის ვებგვერდის საშუალებით, სახლიდან გაუსვლელად, გამოიწერონ სასწავლო სახელმძღვანელოები, კურიერი წიგნებს მათ სახლში მიუტანს.

ახალი სერვისით უკვე მრავალმა ოჯახმა ისარგებლა. ერთ-ერთ პირველ შემკვეთს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოს ფოსტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კახა ბაინდურაშვილი სახლში ეწვივნენ და თავად დაესწრნენ კურიერის მიერ მათთვის წიგნების გადაცემის პროცესს.

ოჯახმა სამინისტროს მიერ გამოცემული სპეციალური საინფორმაციო ბუკლეტის „სასკოლო სახელმძღვანელოების“

მიხედვით გააკეთა არჩევანი და საჭირო სახელმძღვანელოები საქართველოს ფოსტის მეშვეობით გამოიწერა.

საქართველოს ფოსტასთან თანამშრომლობა დადებული მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება. წელს პირველად საქართველოს ფოსტა, ასევე, უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების დარიგებას.

* * *

2011-2012 სასწავლო წლისათვის, პირველად საქართველოში, ერთდროულად, 12 ახალი სკოლა შენდება და 350 საჯარო სკოლაში სრული რეაბილიტაცია ხორციელდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობას თბილისის №24 საჯარო სკოლაში გაეცნო.

№24 საჯარო სკოლა ერთ-ერთია იმ სკოლებს შორის, სადაც წელს, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებზე დაყრდნობით, ინფრასტრუქტურული ცვლილებები მიმდინარეობს – მოწესრიგდა სველი წერტილები, გარემონტდა და შეიღება დერეფნები, ფლიგელები, საკლასო ოთახები, გამოიცვალა კარები, დაიგო ახალი იატაკი.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროცესში უპირატესობა სწორედ შენობათა სველი წერტილების, შესასვლელებისა და დერეფნების მოწესრიგება-მოწყობას ენიჭება. ამასთანავე, რამდენიმე საჯარო სკოლაში დამონტაჟდა ახალი გათბობის სისტემები, მოწესრიგდა საქვაბეები, გაუმჯობესდა ელექტრო და გაზმომარაგება. მოეწყო ღია ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები, განხორციელდა სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია.

სარემონტო სამუშაოებს სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს. ამ პროექტისთვის ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარი გამოიყო.

* * *

საქართველოში ისრაელის საელჩოს ინიციატივით, 5 ქართველი პედაგოგი ინკლუზიური განათლების საკითხებზე მაშავის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას.

სამკვირიანი სასწავლო პროგრამა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინტეგრაცია საგანმანათლებლო გარემოში“ ქალაქ თელ-ავივში გაიმართება. პროგრამაში მონაწილე კანდიდატები კონკურსის გზით შეირჩნენ. ისრაელში თბილისიდან და საქართველოს რეგიონებიდან ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში ჩართული პედაგოგები გაემგზავრებიან.

პროგრამის ფარგლებში, ქართველი პედაგოგები ისრაელის საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ინკლუზიური განათლების პროცესებს, მიღწევებს და გამოწვევებს გაეცნობიან. კოკა სეფერთელაძის განცხადებით, პროგრამა ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებას სხვა ქვეყნებთან, რაც ჩვენს ქვეყანაში ინკლუზიური განათლების კურსის სწორი განსაზღვრისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

თელ-ავივის სასწავლო პროგრამის ფორმატი გულისხმობს: პრაქტიკულ აქტივობებს, ლექციებს, პრეზენტაციებს, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მონახულებას და ა.შ.

საქართველოში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი (მაშავი), ისრაელში წამყვან სასწავლო დაწესებულებებში ორგანიზებულ კურსებზე მონაწილეობით, ხელს უწყობს ქართველი სპეციალისტების კვალიფიკაციის ზრდას. ითვალისწინებს რა ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმას, 2011 წელს საქართველოში მაშავის ცენტრის პროგრამებს შორის განათლება და საზოგადოებრივი განვითარება პრიორიტეტულია.

ინფორმაცია

* * *

მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებისა და მათი სწავლით დაინტერესების მიზნით, სასწავლო პროცესში სახალისო სწავლების მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით, სერტიფიცირებულ პედაგოგებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილი დაესწრნენ.

სამუშაო შეხვედრაში ტრენერები, საჯარო სკოლების დირექტორები და განათლების სფეროს ექსპერტები მონაწილეობდნენ. მოწვეულ პედაგოგებს შორის იყვნენ ის მასწავლებლებიც, რომლებმაც სამინისტროს დაფინანსებით პროფესიულ უნარებში ტრენინგი დიდ ბრიტანეთში გაიარეს.

შეხვედრაზე განხილული იყო როგორც სახალისო სწავლების დანერგვის მეთოდები, ასევე ამ მეთოდების გამოყენების ხერხები, გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფებში სახალისო სწავლებისას სიტუაციური მაგალითებიც განიხილეს. ღონისძიებაზე სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა ერთმანეთს ამ თემებთან დაკავშირებული მოსაზრებები გაუზიარეს და, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ახალი სასწავლო წლისთვის კონკრეტული გეგმები დასახეს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011-2015 წლების ელექტრონული სტრატეგიის ფარგლებში, მოსწავლეთა მართვის ახალი საინფორმაციო სისტემა ამოქმედდა. აღნიშნული სისტემის პრეზენტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ გიორგი ჩახნაშვილმა და სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ გიორგი გულუამ გამართეს.

EStudents - მოსწავლეთა მართვის ახალი საინფორმაციო სისტემის დანერგვით:

– საგანმანათლებლო პროცესი სკოლებში ახალ სისტემაზე გადავიდა, რამაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშუალება მისცა, შეემუშავებინა eschool-ის სტრატეგია, რომელიც საზოგადოებისთვის ერთი თვის შემდეგ გახდება ცნობილი;

– განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშუალება მიეცა, დაეზოგა 12 მილიონი ლარი. ამ თანხით საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოხდა;

– განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უერთდება იუსტიციის სამინისტროს ID ბარათების პროექტს, რის შემდეგაც მოსწავლეთა მონაცემების მიბმა ID ბარათებზე იქნება შესაძლებელი;

– სკოლას საშუალება აქვს, online რეჟიმში გადაამოწმოს საკუთარი მოსწავლეების მონაცემები, განახორციელოს მობილობის პროცესი, აირჩიოს სახელმძღვანელოები და ასევე გააკეთოს სოციალურად დაუცველი მოსწავლეების იდენტიფიცირება.

მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო სისტემა საშუალებას მისცემს სამინისტროს, ზუსტად განსაზღვროს სკოლისათვის განკუთვნილი ვაუჩერის ზომა და სხვა პროცედურები.

მოსწავლეთა სიები ავტომატურად გადაეცემა გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რაც ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და ეროვნული ოლიმპიადებისათვის მოსწავლეთა ხელახალი რეგისტრაციის საჭიროებას გამორიცხავს.

სკოლებში მოსწავლეთა მართვის ახალი საინფორმაციო სისტემის დანერგვით ეფექტური გახდება სკოლის მენეჯმენტი და მოსწავლეთა ზუსტი აღრიცხვა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა №200 ინკლუზიურ სკოლა-პანსიონში ახალი, თანამედროვე სტანდარტების სპორტული მოედანი გახსნა და სკოლის იმ აღსაზრდელებს შეხვდა, რომლებიც პანსიონური მომსახურებით სარგებლობენ და არდადეგებსაც სკოლაში ატარებენ. ბავშვები ახლახან დაბრუნდნენ ფასანაურიდან, სადაც მათი დასვენება სკოლის ხელმძღვანელობამ უზრუნველყო.

ღია სპორტული მოედნის მოწყობა №200 სკოლის მოსწავლეებისთვის დიდი ხნის ოცნება იყო. სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 137 მოსწავლე სწავლობს, მათგან 110 პანსიონური მომსახურებით სარგებლობდა. მათ განსაკუთრებული სასწავლო, დასასვენებელი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი გარემო სჭირდებათ. ახალი, ადაპტირებული მოედანი ამ მოზარდების ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოემსახურება.

ბოლო ორი წლის განმავლობაში №200 სკოლაში ბევრი რამ შეიცვალა როგორც სასწავლო პროგრამების, ისე ინფრასტრუქტურის განახლების მიმართულებით. დიმიტრი შაშკინის

განცხადებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სკოლებზე და აღსაზრდელებზე ზრუნვა სამინისტროსთვის პრიორიტეტულია.

№200 სკოლაში ბავშვებისთვის, რომელთაც სასწავლო პროცესში სერიოზული სირთულეები აქვთ, მოეწყო სწავლის, მკურნალობისა და საზოგადოებაში ადაპტირებისთვის შესაბამისი გარემო. ფუნქციონირებს სენსორული განვითარების ახალი კაბინეტი, რომელიც სხავადასხვა შეზღუდვის მქონე მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. რამდენიმე თვის წინ მინისტრმა სკოლას თანამედროვე მოდელის სასკოლო ავტობუსი გადასცა, რომელიც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მოთხოვნებზეა მორგებული. სკოლაში გამოიცვალა კარ-ფანჯრები, დამონტაჟდა გათბობის თანამედროვე სისტემა, გაკეთდა თანამედროვე კვების ბლოკი.

* * *

პირველად საქართველოში, სპეციალურად საქართველოს სკოლებისთვის შექმნილი ნეთბუქები 60 000 პირველკლასელს და მათ დამრიგებლებს საჩუქრად გადაეცათ. 15 000 ნეთბუქი სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, ქართლში და დიდგორში გაიგზავნა. კომპიუტერები კომპანიების – „ალგორითმი“ და „ინტელი“ – მიერ საქართველოში დამზადდა. ეს კომპანიები, საქართველოს ფოსტის დახმარებით, თავად უზრუნველყოფენ ნეთბუქების დისტრიბუციას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი კომპიუტერული ქარხნიდან ნეთბუქების კონტეინერებში ჩატვირთვის პროცესს დაესწრო. სწავლის დაწყებამდე ნეთბუქებს ყველა საჯარო სკოლამ მიიღო.

დიმიტრი შაშკინი: *„კომპიუტერიზაციის სამყაროში მოზარდების სწორი განვითარებისა და მომავალში საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, ბავშვს თავიდანვე ჰქონდეს ურთიერთობა თანამედროვე ტექნოლოგიებთან. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, შეიქმნა ნეთბუქი „ბუკი“. ნეთბუქებში ჩატვირთულია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მყოფი სასკოლო პროგრამები, ბავშვებისთვის შექმნილი შემეცნებითი თამაშები და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ხელმისაწვდომია ინტერნეტი.“*

სასწავლო პროცესში ნეთბუქების ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ პირველი კლასების ყველა დამრიგებელი გადაამზადა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. მასწავლებლები ნეთბუქების ფიზიკურ სტრუქტურასა და მასთან მუშაობას გაეცნენ, ასევე, ისწავლეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ისტ) გამდიდრებული გაკვეთილისა და სასწავლო პროექტების მომზადება.

საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლა ინტერნეტიზებულია, აქედან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლიდან, ნეთბუქები, სახელმძღვანელოებთან ერთად, პირველკლასელთათვის ინფორმაციის მიღების კიდევ ერთი უნიკალური საშუალება იქნება.

* * *

წელს პირველად, ყველა მშობელს შესაძლებლობა ექნება, სასწავლო სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაცია სპეციალური ბუკლეტის საშუალებით შეიტყოს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საინფორმაციო ბუკლეტი „სასკოლო სახელმძღვანელოები“ სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე მომზადდა. ბუკლეტში მოყვანილია ინფორმაცია სასკოლო სახელმძღვანელოების ფასების, საგნების, კლასებისა და გამომცემლობების შესახებ.

ბუკლეტთან ერთად, ასევე, მომზადდა საინფორმაციო პლაკატები, რომლებზეც განთავსებულია ინფორმაცია იმ ასოცდაათი წიგნის მაღაზიის შესახებ, სადაც გრიფირებული სახელმძღვანელოები ფიქსირებულ, დაბალ ფასებში გაიყიდება.

საინფორმაციო ბუკლეტი და პლაკატი ყველა საჯარო და კერძო სკოლას გადაეცა, პლაკატები სკოლებში სპეციალურ სტენდებზე პირველი სექტემბრიდან გაიკრა.

მშობლებს, ასევე, საქართველოს ფოსტის კურიერების მეშვეობით, საინფორმაციო ბუკლეტების სახლიდან გაუსვლელად გაცნობის, არჩევანის გაკეთებისა და საჭირო სახელმძღვანელოების გამოწერის შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოს ფოსტა წიგნების სახლში მიტანას უზრუნველყოფს.

საინფორმაციო ბუკლეტი და პლაკატი მშობლებისთვის კარგი რესურსია სწორი არჩევანის გასაკეთებლად და საჭირო სახელმძღვანელოების დაბალ, ფიქსირებულ ფასებში შესაძენად. რამდენიმე დისტრიბუტორმა კომპანიამ, სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2011 წლის 30 აგვისტომდე, უზრუნველყო სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზრობებისა და წიგნის მაღაზიების მოწყობა

თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, თელავსა და გორში. ყველა ამ მაღაზიისა და ბაზრობის ადგილმდებარეობა, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია დატანილი იყო პლაკატზე. დისტრიბუტორების მიერ მოწყობილ მაღაზიებსა და ბაზრობებზე სასკოლო სახელმძღვანელოები მხოლოდ ფიქსირებულ, დაბალ ფასში იყიდება.

ბაზრობებისა და მაღაზიების მისამართები, ასევე, დაიდო სამინისტროს ოფიციალურ საიტზე – www.mes.gov.ge და სამინისტროს facebook-ის ოფიციალურ გვერდზე – www. Facebook.com/mes.gov.ge

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, მომავალი სასწავლო წლიდან, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი საგანი „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ შემოდის. შეიქმნა შესაბამისი სახელმძღვანელო და, შსს აკადემიის მხარდაჭერით, 1200 მასწავლებელი გადამზადდა. დატრენინგებულ პედაგოგებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ გიორგი ჩახნაშვილმა და შსს აკადემიის რექტორმა ხატია დეკანოიძემ სერტიფიკატები გადასცეს.

შინაგან საქმეთა აკადემიის ტრენერებმა თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში, ახალი საგნის ყველა პედაგოგი 15 სექტემბრამდე გადაამზადეს. ტრენინგების ფარგლებში, მასწავლებლები ტესტურ დავალებებს ასრულებდნენ, სწავლობდნენ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, სწავლების მეთოდოლოგიასა და სხვ. ახალი საგნის „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ სწავლება სპეციალურად დაწერილი სახელმძღვანელოთი განხორციელდება.

სახელმძღვანელო ორი ნაწილისაგან შედგება და მოიცავს ყველა იმ ძირეულ საკითხს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ პირი სრულყოფილად მომზადდეს საგზაო მოძრაობის წესებსა და უსაფრთხოებაში.

ინფორმაცია

ავტომობილის მართვის თეორიულ კურსს მოსწავლეები სკოლაშივე გაივლიან. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მოზარდები, 17 წლის ასაკში, მშობლის თანხმობის შემთხვევაში, მართვის დროებით მოწმობებს უსასყიდლოდ მიიღებენ. მათ საშუალება ექნებათ, ქალაქში ავტომობილით იმოძრაონ, აეკრძალებათ მხოლოდ მგზავრების გადაყვანა. 18 წლის ასაკში კი, დროებითი მოწმობის ნაცვლად, ახალგაზრდა საერთაშორისო სტანდარტის მართვის მოწმობას უსასყიდლოდ აიღებს.

საგანს მეთერთმეტეკლასელები შეისწავლიან. ახალი საგნის შემოღება მიზნად ისახავს გზებზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფას, სწორედ ამას შეუწყობს ხელს სკოლის ასაკში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სხვადასხვა საგნის ის ათი პედაგოგი დაასაჩუქრა, რომელთაც 2011 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე თავიანთ საგნებში საუკეთესო შედეგები აჩვენეს, მინისტრმა მათ პორტატული კომპიუტერები გადასცა.

წარმატებით დასრულდა 2011 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები. გასულ წელთან შედარებით, წელს ორჯერ მეტი – 2500 პედაგოგი აიღებს სერტიფიკატს. შარშან სერტიფიკატი 1200-მა პედაგოგმა მოიპოვა.

სასერტიფიკაციო გამოცდები ნებაყოფლობითია, მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, სურვილისამებრ ჩააბარონ ერთი ან ორივე გამოცდა. სწორედ ამიტომ პედაგოგთა დიდი რაოდენობა წელს ერთ გამოცდაზე გავიდა, 5000-მა მასწავლებელმა წარმატებით გადალახა პროფესიული უნარების გამოცდის ბარიერი, ხოლო 4000-მა – საგნობრივის. მათ აღნიშნული შედეგები მომავალი წლისთვის შეენახებათ და 2012 წელს მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. ამ დინამიკით, 2014 წლისთვის, სანამ პედაგოგთა გამოცდები ნებაყოფლობითია, მასწავლებელთა 60% უკვე სერტიფიცირებული იქნება.

სერტიფიცირებული მასწავლებლები ხელფასზე დანამატს – 75 ლარს იღებენ. იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგი კომპიუტერისა და ინგლისური ენის გამოცდასაც ჩააბარებს, მისი დანამატი 200 ლარამდე იზრდება. ორივე გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, თუ სერტიფიცირებული მასწავლებელი საუკეთესო მაჩვენებლების მქონე 25%-ში მოხვდება, მისი ფიქსირებული ხელფასი 1000 ლარი ხდება.

სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, ასევე, შესაძლებლობა აქვთ, იმუშაონ მენტორ მასწავლებლად, ჩაერთონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებში, რაც ასევე დამატებით ანაზღაურებას გულისხმობს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა იტალიური და თურქული ენების საგნობრივ პროგრამებზე მუშაობა დაასრულა.

იტალიური და თურქული ენების საგნობრივი პროგრამის შინაარსი ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების მოქმედ სტანდარტს ემყარება. საგნობრივ პროგრამებზე, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტებთან ერთად, იტალიური და თურქული ენების მოწვეული სპეციალისტები მუშაობდნენ, რომლებმაც პროგრამები შექმნეს როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო-საშუალო საფეხურის სხვადასხვა დონისთვის. იტალიური ენის საგნობრივი პროგრამა იტალიის საელჩოსთან აქტიურო თანამშრომლობით შემუშავდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე გამოაცხადა 2012-2013 სასწავლო წლისთვის სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსი, მათ შორის იტალიური და თურქული ენების სახელმძღვანელოებზეც.

* * *

ახალი სასწავლო წლისათვის თბილისის 110 საჯარო სკოლას განახლებული ინფრასტრუქტურა ექნება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სარემონტო სამუშაოები ერთდროულად ასათივე საჯარო სკოლაში განახორციელა.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროცესში უპირატესობა შენობათა სველი წერტილების, შესასვლელებისა და დერეფნების მოწესრიგება-მოწყობას მიენიჭა. ამასთანავე, რამდენიმე საჯარო სკოლაში განხორციელებულია გათბობის სისტემების მოწესრიგების, ღია ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობის, სპორტული დარბაზების რეაბილიტაციის, ელექტრომომარაგების აღდგენის, საქვაბე მეურ-

ნეობის გაზმომარაგების სამუშაოები.

სარემონტო სამუშაოებს სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს. ამ პროექტისთვის ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარი გამოიყო.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ და ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ დმანისის კვლევითი ჯგუფის და საველე სკოლის მონაწილეებს 2011 წლის საზაფხულო საველე სკოლის დასრულება მიულოცეს და სერტიფიკატები გადასცეს.

ოფიციალური სერტიფიკატები გადაეცათ ქართველ და საერთაშორისო სტუდენტებს, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს საზაფხულო პროგრამა.

დმანისის საზაფხულო საველე სკოლის ერთ-ერთი მიზანია საერთაშორისო და კოლაბორაციულ გარემოში სტუდენტების დატრენინგება მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

მესამე წელია, რაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეოანთროპოლოგიური საველე სკოლა იმართება, რომელიც წელს ყველაზე დიდი სტუდენტებისა და პედაგოგების რაოდენობით გამოირჩეოდა.

ამ პროექტში 13 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას, აქედან 3 – საქართველოდან, 1 – პორტუგალიიდან, ხოლო დანარჩენი 9 – აშშ-დან, რომლებიც წარმოადგენდნენ 8 სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებას.

დმანისის არქეოლოგიურ კვლევით გუნდთან ერთად, საველე სკოლის სტუდენტები ოთხი კვირის განმავლობაში მონაწილეობდნენ არქეოლოგიურ გათხრებში. დამატებით, სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დასწრებოდნენ სხვადასხვა ლექციების ციკლს, რომლებსაც საქართველოს, შვეიცარიის, ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და ამერიკის პროფესორები უძღვებოდნენ.

* * *

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევას დააფინანსებს.

საგრანტო კონკურსი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის ოთახ-სამლოცველოში გამოაცხადეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული კონკურსის ფარგლებში, ფონდი დააფინანსებს საუკეთესო კვლევით პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალების, ეთნოგრაფიული მონაცემების მოძიებას, აღრიცხვასა და მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას. ახალი კონკურსის მიზანია ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევით ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების დაინტერესება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მკვლევართა ჯგუფს, რომლებიც წარმოადგენენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ასევე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას. საკონკურსო განაცხადებს ფონდი მიმდინარე წლის 12 სექტემბრის ჩათვლით მიიღებს.

კვლევის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს, ხოლო ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება – 300000 ლარს. ამასთან, შესაძლებელია უცხოური სამეცნიერო ფონდებიდან ან სხვა დონორი ორგანიზაციებიდან თანადაფინანსების მოზიდვა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის სულხან სისაურის განცხადებით, კონკურსის შედეგად შეიქმნება უფრო სრულყოფილი სურათი იმ უმნიშვნელოვანესი ქართული საგანძურის შესახებ, რომელიც მიმოფანტულია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ნაკლებად შესწავლილია ან საერთოდ, შეუსწავლელია. პროექტი, ასევე, ხელს შეუწყობს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, რითაც საქართველო ამაყობს და დღემდე მსოფლიოს ყურადღებასა და აღფრთოვანებას იწვევს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ტყიბულის რაიონში ახალი საბაზო სკოლა ააშენა.

სოფელ მუხურაში სკოლის შენობა გასულ საუკუნეში დაიწვა, მოსწავლეები, რამდენიმე ათეული წელია, კოლმეურნეობის ძველ, სწავლისთვის სრულიად შეუფერებელ გარემოში სწავლობდნენ. ახალი ხის შენობა 70 ბავშვზეა გათვლილი, ამ ტიპის სკოლა მორგებული იქნება გარემოზე და სრულიად კომფორტული და თანამედროვე სწავლისთვის.

სკოლა ახალი სასწავლო წლიდან შეუდგა ფუნქციონირებას.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, თანამედროვედ აღჭურვა და კეთილმოწყობა სამინისტროს პრიორიტეტია.

მხოლოდ მიმდინარე წელს, საქართველოს მასშტაბით, 271 საჯარო სკოლაში სრული რეაბილიტაცია განხორციელდა. ყველა რეგიონში შენდება ახალი სკოლები – ჩიბათის, ნოქალაქევის, მელაანის, ქვაბღას, ახალციხის №5, ახალქალაქის №3, ხაჯალიას, ჯახუნდარას, მუხურას, სალხინოს, საზანოს საჯარო სკოლების მოსწავლეები ახალ, თანამედროვე, შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილ სკოლებში ისწავლიან.

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“

სასწავლო წლის ბოლოს, თბილისის 126-ე სკოლაში, უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა. სკოლას მსხალდიდელი პატარები სტუმრობდნენ. ამ ურთიერთობის დასაწყისი თითქოს მდინარეს ჰგავს, მსხალდიდის სკოლიდან დაწყებულს. ქართველებისა და აზერბაიჯანელების მეგობრობის შემკვრელი კი 126-ე სკოლაა.

გემოვნებით მორთულ დარბაზში იყო გულთბილი სიტყვები. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქართველი და აზერბაიჯანელი პატარები. იგრძნობოდა საოცარი ერთსულოვნება, რომელიც სკოლის დირექტორის **ხათუნა ბარაბაძისა** და პედაგოგიური კოლექტივის დიდი დამსახურებაა.

126-ე სკოლის პედაგოგიური კოლექტივი პასუხისმგებლობით ეკიდება ქართველი და აზერბაიჯანელი მოსწავლეების სწავლებისა და აღზრდის საქმეს.

„მადლიერი აზერბაიჯენელები არ დავივიწყებთ იმ ტკბილ ენას, რომელიც მამაცურად შემოინახეს ქართველებმა – მერცხლებივით ჭიკჭიკებენ პატარები, გამომეტყველებით კითხულობდნენ ქართველ პოეტთა სტრიქონებს და ამ სტრიქონებში აქსოვდნენ ქართული ენისა და საქართველოს სიყვარულს.

ღმერთო, შენ აუხდინე საქართველოს უწმინდესი მიზანი. მშვიდობა იყოს ამ მიწაზე, რათა ქართველებთან ერთად აღმოვფხვრათ სიძულვილი, რადგან „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“, – ამ სიტყვებით დაასრულა საზეიმო შეხვედრა **აიდა კარაევამ**.

ხათუნა ბარაბაძე, 126-ე სკოლის დირექტორი: *„ჩვენი სკოლის არაქართველები კარგად ფლობენ ქართულ ენას. სასიამოვნოა, რომ მსხალდიდელი პატარებიც კარგად მეტყველებენ. ასეთი შეხვედრები უფრო განამტკიცებს ქართველებისა და აზერბაიჯანელების ურთიერთობას.“*

აქბარ ველიევი, მსხალდიდის სკოლის დირექტორი: *„სიმბოლურია, რომ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს ურთიერთგაგება და გულწრფელი მეგობრობა აერთიანებთ. აქაური აზერბაიჯანელები მუდამ საქართველოს ერთგულნი იყვნენ, არიან და იქნებიან.“*

საბინა ნაზარალიევა, II კლასის მოსწავლის მშობელი: *„დღევანდელი დღე შთამბეჭდავია. ეს შეხვედრა ხომ ქართველების ჩვენდამი დიდი ზრუნვისა და ყურადღების კიდევ ერთი დადასტურებაა.“*

დაე, ყოველთვის ისმოდეს ქართული ლექსი და სიტყვა საქართველოს ყველა კუთხეში, ქართული სილამაზით იფრქვეოდეს ალიონი საქართველოში მცხოვრები ყველა იმ ეროვნების წარმომადგენელთათვის, ვისაც საქართველო და ქართველი ხალხი ალალი გულით უყვარს.

ეთერ სიმონიშვილი

„საქართველოსთვის წვა და დაფერფვლა, ეს არის ჩვენი შვილების გულის ძახილი“

აზერბაიჯანელები საქართველოს მიწაზე სრულუფლებიან მოქალაქეებად ვგრძნობთ თავს. ჩვენ ხომ უფლების გარდა მოვალეობებიც გვაკისრია.

ქართველმა ხალხმა რომ ჩვენი სახით საიმედო, ერთგული და მხარდამჭერი დაინახოს, ამ ორ ერს შორის არ უნდა არსებობდეს ენობრივი ბარიერი.

წარჩინებით დავამთავრე თბილისის №164 საჯარო სკოლა, შემდეგ – ეკონომიკური ტექნიკუმი. ამჟამად ვცხოვრობ სოფელ მსხალდიდში. ქართული ენა ჩემი ოჯახის თანამდევრად, სულის ნაწილად ქცეულა. ამას შთავაგონებ ჩემ შვილებსაც.

ქართულ მიწაზე მცხოვრებმა არაქართველებმა უნდა დავიცვათ ქართული ენა, რომელიც თან ატარებს ქართველი ერის არსებობას, მის დაახლოებას და დამეგობრებას მოძმე ხალხებთან. ბავშვებთან ერთად გვსურს მშობლებმაც საქმით დავამტკიცოთ ჩვენი გულისთქმა, ამიტომ ხშირად მივდივართ სკოლაში. ვესწრებით გაკვეთილებს, ვატარებთ სხვადასხვა ღონისძიებებს.

I და II კლასის მოსწავლეები (ხელმძღვანელები – **ლია საზანდრიშვილი** და **ეთერ სიმონიშვილი**) უკვე საუბრობენ ქართულად. პატარებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისში გამართულ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ზეიმში, დაათვალიერეს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, შეხვდნენ სასახლესთან არსებული ქართული ენის წრის წევრებს.

საქართველოსა და ქართული ენის სიყვარულმა მიიყვანა მეორეკლასელები სვეტიცხოველში. მათ წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „ჩვენ თვალწინ გვიდგას უძველესი მიწა არმაზის და საქართველოს უკვდავება სვეტიცხოველი“.

„პატარებო – ყვავილებო, საოცნებო სანახებო, საქართველოს სანაქებო და ცქრიალა ჩიტუნებო, ჩემო ამინ, კურბან, ზაქირ, ზამინ, რაულ, აიდა და ელმირა, საბინა და მირანდა, შუშანა და კამილა, დაგვილოცე ყველა ღმერთო! გაიზარდეთ გაიხარეთ და გამრავლდით საქართველოს ძლიერებად, ჩვენი ქვეყნის სადიდებლად.

ჩვენი მიზანია, განვამტკიცოთ ქართველებისა და აზერბაიჯანელების სულიერი სიახლოვე.

„საქართველოსთვის წვა და დაფერფვლა, ეს არის ჩვენი შვილების გულის ძახილი“.

საბინა ნაზარალიევა
II კლასის მოსწავლის მშობელი

საინტერესო შეხვედრა

მიმდინარე წლის 10-14 ივნისს, ზუგდიდში ქიმიის მასწავლებელთა რეგიონული ტრენინგი ჩაატარა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა **ემზარ ლომიძემ**.

უპირველესად, რამაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება იყო ბატონი ემზარის უშუალობა, თავმდაბლობა და, რაც ყველაზე უმთავრესია, უმაღლესი აკადემიზმი, გადაცემის სიმარტივე, ბრწყინვალე პროფესიონალიზმი, თეორიისა და პრაქტიკული სამუშაოების უზადო ცოდნა.

ტრენინგი მხოლოდ ოთხ დღეს მიმდინარეობდა, რაც ნამდვილად არასაკმარისი იყო საგნობრივი გამოცდებისათვის მოსამზადებლად, მაგრამ ლექტორის მიერ ისე დაიგეგმა თემატიკა, რომ თითქმის ყველა საკითხი მოიცვა.სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ელექტრონული ორბიტალების, ქიმიური ბმების ბუნების ცოდნას. ყოველი ლექცია მიზნობრივად იქნა გამოყენებული ქიმიის ფუნდამენტური საკითხების გასაშუქებლად, მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული მასწავლებელთა მოთხოვნები და მათთვის საინტერესო საკითხები.

გამოვთქვამ ჩემი და ჩემი კოლეგების სურვილს, რომ მსგავსი შეხვედრები, თუნდაც წელინადში ერთხელ, დიდად წაადგება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

ინდიკო ლუკავა
წალენჯიხა, სოფელ ლეჯოლოხეს საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

ინფორმაცია

* * *

ახალი სასწავლო წლისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მთავარი პრიორიტეტები წარმოადგინა დღეს პარლამენტის განთლების, მეცნიერებისა და კულტურის, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა.

ახალი სასწავლო წლისთვის ძირითადი პრიორიტეტებია: სოციალურად დაუცველი ყველა მოსწავლის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა; სასკოლო სახელმძღვანელოების დაბალი ფასების უზრუნველყოფა; ახალი სკოლებისა და კოლეჯების გახსნა; საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ნეთბუქები და პორტატული კომპიუტერები პირველკლასელებისა და მათი პედაგოგებისთვის და ასევე წარჩინებული მოსწავლეებისათვის.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინგლისური ენის გაძლიერებულად შესწავლას, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სკოლებსა და სხვა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ქართული ენის გაძლიერებულ სწავლებას.

ასევე პრიორიტეტულადაა მიჩნეული პროფესიული სწავლების ხელშეწყობა და მანდატურების კვალიფიკაციის ამაღლება.

მინისტრმა ამომწურავად ისაუბრა თითოეული ამ საკითხის და სხვა განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. მისი განცხადებით, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ამ სასწავლო წელს პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით განხორციელდება, მომავალ წელს კი, ანალოგიური გეგმა VII-XII კლასებისთვის მომზადდება.

დასასრულს, დიმიტრი შაშკინმა დეპუტატების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დაწყებითი საფეხურის პირველი დონის ქართული ენის სახელმძღვანელო შეიქმნა, რომლითაც არაქართულენოვანი მოსწავლეები ქართულ ენას შეისწავლიან. დიმიტრი შაშკინმა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის განკუთვნილი ახალი წიგნი მასწავლებლებსა და ჟურნალისტებს წარუდგინა. 2011 წლის ბოლომდე I-დან VI დონის ჩათვლით ყველა სახელმძღვანელო გამოიცემა. 2012 წელს საბაზო-საშუალო საფეხურებისთვის სახელმძღვანელოების დანარჩენი დონეები შეიქმნება.

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროგრამას „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებები მიმდინარეობს, რომლებიც არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის სწავლებას ითვალისწინებს. პროგრამის ფარგლებში შექმნილი ახალი სახელმძღვანელო აგებულია პედაგოგიკის თანამედროვე პრინციპებზე და დაფუძნებულია ენის კომუნიკაციურ სწავლებაზე. კომუნიკაციურ-ინტერაქტიული მეთოდი მნიშვნელოვნად განსხვავდება ენის სწავლების ტრადიციული მიდგომებისაგან და გაცილებით ამარტივებს ენის შესწავლას.

წიგნი შექმნილია მოსწავლეთა ინტერესებისა და რეალურ საცხოვრებელ გარემოში, ყოფით სიტუაციებში მიმდინარე მოვლენების, საჭიროებების გათვალისწინებით. გრამატიკის სწავლებისას, აქცენტი კეთდება ე.წ. გამოყენებით, ანუ კომუნიკაციურ გრამატიკაზე.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოს თან ახლავს აუდიო-ვიზუალური მასალები და სპეციალური კომპიუტერული თამაშები, რომლებიც ჩაიტვირთება პირველკლასელებისთვის დარიგებულ ნეთბუქებში და ასევე განთავსდება სპეციალურ ვებგვერდზე (www.buki.ge).

ზზა კონკურსებიდან დიდ კონკურსამდე

კალიგრაფიის კონკურსები ბოლო დროს აქტიური გახდა და საზოგადოებამაც კარგად მიიღო. ქართული ანბანის წარმოსაჩენად სხვადასხვა დროს ჩატარებულმა ღონისძიებებმა საუკეთესო კალიგრაფები გამოავლინა, ერთ-ერთი მათგანი ქალბატონი **ლეილა ბაღბაიაა**, კონკურსანტებს შორის საუკეთესო ხელწერით გამორჩეული და ნომინაციებში მრავალგზის გამარჯვებული...

ქართული ანბანის ნიშისა და სულიერების გამოსახატად მოხდენილ ასოთწყობაში კალიგრაფიის დიდოსტატები ერთმანეთს სოციალურ ქსელშიც ეჯიბრებიან.

„ვაჟა-ფშაველა – 150“ – ასე ეწოდება კონკურსს, რომელიც საქართველოს მხატვარ-კალიგრაფთა კავშირის ეგიდით Facebook-ზე ტარდება. აქცია საიუბილეოა, რომლის ფარგლებშიც კავშირის წევრების მიერ იქმნება ხელნაწერი წიგნები – ვაჟას პოემები.

მონაწილეობის მსურველთათვის საქართველოს მხატვარ-კალიგრაფთა კავშირმა კონკურსი 2011 წლის აგვისტოში წამოიწყო. კონკურსანტებს დაევალათ პოეტის ერთ-ერთი ლექსის მიხედვით სიგელის სტილის ხელნაწერის შექმნა.

საუკეთესო ნამუშევრები და ავტორები 17 სექტემბერს გამოვლინდებიან. კონკურსში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ლეილა ბაღბაიას ნამუშევარს უკავია...

ცოტა ადრე კი, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საუკეთესო კალიგრაფიის გამოსავლენი კონკურსი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (დირექტორი – **ბუბა კუდავა**), არასამთავრობო ორგანიზაციის „წამი“ (ხელმძღვანელი – **ზაზა კორინთელი**) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. კონკურსში, მოზარდებთან ერთად, ზრდასრული ადამიანები მონაწილეობდნენ, ჩაერთვნენ აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები.

ნომინაციაში „საუკეთესო ასლი“ საუკეთესოდ აფხაზეთიდან დევნილი ლეილა ბაღბაიას ნამუშევარი აღიარეს და პრიზებიც გადასცეს. ამ კონკურსამდე იგი საინტერესო ნამუშევრებითა და გამოცდილებით მოვიდა. საუკეთესო კალიგრაფიის გამოსავლენი კონკურსები სკოლებში ტარდებოდა. აფხაზეთის საჯარო სკოლებში ამ იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ბავშვთა ჰარმონიული განვითარების ცენტრის დირექტორი ლეილა ბაღბაია იყო.

ფესტივალ „არტგენთან“ თანამშრომლობისას მომღერალმა ზაზა კორინთელმა ქალბატონ ლეილას შესთავაზა, აფხაზეთის დევნილი მოსწავლეებისათვის ჩაეტარებინა საუკეთესო კალიგრაფის გამოსავლენი კონკურსი – „მე მიყვარს ჩემი ანბანი“. იდეათა თანხვედრა აქედან დაიწყო.

ლეილა ბაღბაიას შემოქმედების შესახებ გვესაუბრებიან ისინი, ვინც მას კონკურსებიდან იცნობენ:

ნესტან ბაგაური, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი: *„ქართული კალიგრაფიის“ სახელწოდებით ჩატარებული კონკურსები არ შემოიფარგლება ერთჯერადი აქციებით და ყოველთვის ახლავს საზოგადოების მხრიდან რეზონანსი. კალიგრაფია არის სწორი გზა, რომელიც იქცა ხიდად წარსულსა და დღეევანდელობას შორის, მეტიც, უკვე ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია.*

წელს ჩატარებულმა კონკურსმა საინტერესო კალიგრაფები გამოავლინა, რომელთა შორისაა ლეილა ბაღბაია, კონკურსის პრიზიორი. ეს ავტორი საინტერესოა იმითაც, რომ ცალკეული ნიმუშებით არ შემოიფარგლება და თავისი შემოქმედებით ავითარებს ამ დარგს – შესანიშნავად მუშაობს კერამიკაზე, ქსოვილზე, ქაღალდზე და ფაიფურზე. აქვს ფართო ფანტაზია და ყველა შესაძლებლობა იმისთვის, რომ საზოგადოების წინაშე ლამაზი გამოფენითაც წარდგეს. ჩვენი ურთიერთობა კონკურსებით არ შემოიფარგლება, უახლოეს პერიოდში ვგეგმავთ დიდ ღონისძიებას, რომელშიც ქალბატონი ლეილა მონაწილეობს. რაც შეეხება მხატვარ-კალიგრაფთა კავშირს, ის ჩვენი ყველაზე საიმედო პარტნიორი და იმედიანი მხარდამჭერია – უწყვეტი რგოლი, რომელიც პროფესიული კალიგრაფიის შეუცვლელ გამოცდილებას ფლობს“.

ზაზა კორინთელი: *„არტგენზე“ ქართული სულიერება და მისი სიდიადე წარმოვაჩინეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ქართულ ნიჭს და გენს არ აქვს საზღვარი, დიადია თავისი უიშვიათესობით. ჩვენი წლევანდელი ღონისძიების ერთ-ერთი აქტიური ნაწილი იყო „ქართული კალიგრაფია“. ერთი დღე დაეთმო აფხაზეთის კულტურულ ღონისძიებებს, რამაც მნახველთა მოწონება დაიმსახურა. ღონისძიების კოორდინატორი კალიგრაფი ლეილა ბაღბაია იყო, რომლის ნამუშევრებსაც „არტგენის“ სტუმრები მთელი სეზონის განმავლობაში ეცნობოდნენ. ამასთან ერთად, გამოფენილი იყო კონკურსში გამარჯვებული ავტორების კალიგრაფიული ნიმუშები. ექსპოზიციამ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი დამთვალიერებლის მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია. იმედი გვაქვს, ქალბატონ ლეილას პერსონალურ გამოფენაზეც შევხვდებით და მის შემოქმედებას საზოგადოება უკეთ გაიცნობს“.*

პროფესიით პედაგოგს, მიაჩნია, რომ ლამაზად წერა მისი სულიერი მოთხოვნილებაა და მშობლიურ მხარეს მოწყვეტილისთვის ეს გატაცება ბევრად მნიშვნელოვანია.

ამბობს, რომ ქართულ ანბანს შინაგანად დაატარებს. შეუძლია, ხელწერა იმდენნაირად შეცვალოს, რომ არც ერთი არ მიამსგავსოს ერთმანეთს. მუშაობს ფაიფურზეც. ქართული ორნამენტებითა და რელიგიური თემატიკით გაფორმებული თეფშები ბევრი დაუგროვდა, ამიტომ გამოფენის მოწყობა გადაწყვიტა, სადაც საზოგადოებას საკუთარი შემოქმედების გაცნობის საშუალებას მისცემს და ქართული ანბანის სიდიადეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს... ამბობს, რომ კალიგრაფიაში ისტორია ცოცხლდება: *„უძველესი ხელნაწერები ეპოქას შიფრავენ. ბიჭვინთისა და მოქვის სახარება იმის დასტურია, რომ ეს ტერიტორია ოდითგანვე წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის ნაწილს. ქართული ანბანი ჩემი თანამდევია, მასზე ძილშიც ვფიქრობ. განსაკუთრებული დიზაინით ვქმნი საზედაო ასოებს, არც ერთი მათგანი ერთმანეთს არ ემსგავსება. ხელწერა ბევრნაირად შემიძლია შევცვალო. ვმუშაობ ფაიფურზეც, ქართული კალიგრაფიით და ორნამენტებით, რელიგიური თემატიკით ვაფორმებ თეფშებს. ნამუშევრები საკმაოდ დამიგროვდა. უკვე გამოფენის მოწყობაზეც ვფიქრობ. ვარ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების წევრი, რომლის თავმჯდომარეც პარლამენტის ვიცე-სპიკერი* ***რუსუდან კერვალიშვილი*** *გახლავთ. ხელნაწერების კონკურსების მონაწილე, თავადაც ვატარებ სასკოლათაშორისო კონკურსებს კალიგრაფიაში. ამ სამყაროში თავი ხელახლა აღმოვაჩინე, რაც უაფხაზეთოდ ცხოვრებაში დიდ სტიმულს მაძლევს... კალიგრაფიული საგანძურით, ხელნაწერი წიგნებით, ბიჭვინთისა და მოქვის სახარებით საქართველო ხომ ენგურთან მთლიანდება. ეს განცდა მახლავს თან ყოველთვის, როცა ქართული ასოების მოსახატად ფანქარს ვიღებ ხელში!...“*

...ექვსი წლისა თავისუფლად კითხულობდა და წერდა. საკუთარი სურვილით, პირველკლასელ მეზობლებს ადევნებულმა, სკოლაში ცოტა ხანს იარა. მასწავლებელი, სიის ამოკითხვისას, ზეპირად ამატებდა მის სახელსა და გვარს. კლასში, ლამის, თვალსაჩინოებად იქცა მისი ხელით გამოყვანილი მრგვლოვანი ქართული ასოები...

ბავშვობიდან ქართული ანბანის სათუთი სიყვარული ცხოვრების მეგზურად გამოჰყვა. ახალი იდეები და გეგმები ომმა ჩაკლა!... დღეს ყველაზე დიდ შვებას თავის გატაცების სამყაროში პოულობს. ასე ფარფატებენ წარმოსახვით სივრცეში: ა-ნი, ბ-ანი, გ-ანი, ... ჰ-აე!..

მარი ჩიტაია

ბუბა კუდავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი,
ლეილა ბაღბაია,
ზაზა კორინთელი არასამთავრობო ორგანიზაციის „წამი“ ხელმძღვანელი

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა საჯარო სკოლის დირექტორობის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულებს სერტიფიკატები გადასცეს.

დირექტორთა კონკურსში მონაწილეობა უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერ პირს შეეძლო. გამოცდა ორ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე, დირექტორობის მსურველმა ინდივიდუალური ტესტირება სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით გაიარა. ამ მეთოდით გამოცდა საქართველოში პირველად ჩატარდა. დირექტორობის მსურველებმა კითხვებს რამდენიმე მიმართულებით უპასუხეს – საკანონმდებლო ბაზა, სასწავლო პროცესის ორგანიზება და შეფასება სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის ფინანსური მართვა, ლოგიკური მსჯელობა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. მეორე ეტაპზე – გასაუბრებაზე დაიშვნენ პირები, რომლებმაც ტესტირებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარი გადალახეს. დირექტორობის მსურველებს საშუალება ჰქონდათ გასაუბრებისთვის თემა თავად აერჩიათ. მათ პრეზენტაცია სპეციალური კომისიის წინაშე გამართეს.

კონკურსში მონაწილეობა დირექტორების მოვალეობის შემსრულებლების გარდა იმ მოქალაქეებმაც მიიღეს, რომ-

ლებსაც აქამდე სკოლის დირექტორად არ უმუშავიათ. კონკურსში გამარჯვებულებს დირექტორობის უფლება 7 წლის ვადით ენიჭებათ.

სერტიფიცირებული დირექტორების ვაკანტურ ადგილებზე წარდგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ხდება, რის შემდეგაც თითოეული კანდიდატის არჩევაზე გადაწყვეტილებას სკოლის სამეურვეო საბჭო იღებს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ სენაკის რაიონში ახალი სკოლა ააშენა. სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის მშენებლობის მიმდინარეობა მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ დაათვალიერა.

ნოქალაქევის საჯარო სკოლის ძველი ხის შენობა 1931 წელს იყო აშენებული. ამორტიზებულ შენობას ექსპლუატაციის ვადა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გაუვიდა. ამ სკოლის 150 მოსწავლეს მეზობელ სოფელში უხდებოდა სკოლაში სიარული. ახალი თანამედროვე სკოლა, რომელიც 300 ბავშვზეა გათვლილი, თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა, ფუნქციონირებს სასწავლო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი. სკოლა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებსაც მოემსახურება და ამით ყველა სტანდარტს დააკმაყოფილებს.

* * *

საქართველოს მასშტაბით, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, პირველი კლასის დამრიგებელთა ტრენინგი ჩატარდა.

ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს ყველა საჯარო სკოლის პირველი კლასის დამრიგებელსა და მოსწავლეს კომპანიების – „ალგორითმისა“ და „ინტელის“ – მიერ საქართველოში წარმოებული ნეთბუქი „ბუკი“ გადაეცემა. სასწავლო პროცესში ნეთბუქების ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო ინფორმაციულ-

საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში პირველი კლასის დამრიგებლების ტრენინგი, სახელწოდებით „1:1 ელექტრონული სწავლება“.

ბუკების ტრენინგი მიზნად ისახავს პირველი კლასის დამრიგებელთა ხელშეწყობას. პროექტის „1:1 ელექტრონული სწავლება“ ფარგლებში, მასწავლებლები ნეთბუქების ფიზიკურ სტრუქტურასა და მასთან მუშაობას ეცნობიან. სწავლობენ ტექსტურ რედაქტორში და ელექტრონულ ფოსტაში მუშაობას, ინტერნეტში საგანმანათლებლო რესურსის ძიებას, საპრეზენტაციო პროგრამას, კლასის მართვის კომპიუტერული პროგრამის – Mythware e-Learning Class 6.0V – ადმინისტრირებას.

ტრენინგებზე დაწყებითი კლასების პედაგოგები ასევე სწავლობენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ისტ) გამდიდრებული გაკვეთილისა და სასწავლო პროექტის მომზადებას, ეცნობიან 1:1 სასწავლო გარემოში გაკვეთილის და სასწავლო პროექტის განხორციელებასა და შეფასებას. კურსი 35 საკონტაქტო საათისაგან შედგება.

ტრენინგები ყველა რეგიონში ინტენსიურად მიმდინარეობდა, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პირველი კლასის ყველა დამრიგებელი გადამზადდა.

* * *

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან საჯარო სკოლის პედაგოგები ნოთინგჰემში ორკვირიანი სასწავლო კურსის გასავლელად გაგზავნა. 23 ივლისიდან 7 აგვისტომდე მასწავლებლები ინგლისურ ენასა და სწავლების მეთოდებში ინტენსიურ ტრენინგებს გადიოდნენ. ლექციები New College Notingham-ში ტარდებოდა. საქართველოდან დიდ ბრიტანეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ინგლისურის, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლები ჩავიდნენ. ბიოლოგიისა და ქიმიის პედაგოგებს სპეციალური კურსი ჩაუტარდათ სახელწოდებით „მეცნიერება“, რაშიც ორივე საგნის სწავლების მეთოდები იყო გაერთიანებული.

ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლები სპეციალური სასწავლო კურსის მეშვეობით ინგლისში მოქმედ საგანმანათლებლო სისტემას გაეცნენ. დეტალურად განიხილეს სკოლებში დანერგილი თანამედროვე სწავლების მეთოდები კლასში მუშაობის პროცესში. ბრიტანელმა კოლეგებმა ქართველ მასწავლებლებს ყურადღება რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე გაუმახვილეს: ინდივიდუალური მიდგომა მოსწავლეებისადმი; კლასში ჯგუფური მუშაობის პრინციპის დანერგვა (სხვადასხვა დავალებების ამოხსნა გაკვეთილზე მცირე ჯგუფებში); ონლაინ მასალების გამოყენება და ინტერნეტით მასალის მოძიების პროცესში მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვა; საკითხის დასმა და მისი განხილვა; სწავლების პროცესის გახალისება გონებრივი რუკებით; სპეციალური ილუსტრირებული დავალებების მომზადებით, ტესტებით, თამაშის მეშვეობით ჩატარებული გამოკითხვებით და სხვ.

ინგლისური ენის პედაგოგებს ტრენინგი ჩაუტარდათ სწავლების პროცესში IT ტექნოლოგიების დანერგვაში, მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებაში. გარდა ამისა, ყურადღება გაამახვილეს მოსწავლეებთან საკომუნიკაციო პროცესში უცხო ენის გამოყენებაზე. ბრიტანელმა სპეციალისტებმა ქართველ პედაგოგებთან უცხო ენის სწავლებისას ჯგუფური მუშაობის პრინციპის დანერგვაზე ისაუბრეს. მასწავლებლები გაეცნენ ადგილობრივ დიალექტებს. ტრენინგებზე დრო დაეთმო საგაკვეთილო თემების განხილვის მეთოდებს, დისკუსიებს, როლურ თამაშებს, წყვილებში მუშაობასა და დაწყებით საფეხურზე ინგლისური ენის სწავლებას.

საქართველოდან ჩასულმა პედაგოგებმა, ტრენინგების პარალელურად, ადგილობრივი საჯარო სკოლაც დაათვალიერეს. მათ მოინახულეს: შრომის კაბინეტი, სადაც მოსწავლეები სხვადასხვა ხელობას ეუფლებიან; კომპიუტერული ოთახი, რომლის მეშვეობითაც ბავშვები ონლაინ მუშაობის უნარებს ითვისებენ – ინტერნეტით საჭირო ინფორმაციის სწორად მოძიებას და მათ გამოყენებას საკუთარ პრეზენტაციებში; სპორტული დარბაზი, ხელოვნების დარბაზი და საკლასო ოთახები.

ქართველი მასწავლებლები კემბრიჯშიც გაემგზავრნენ, სადაც მსოფლიოში ცნობილი უნივერსიტეტი და კოლეჯები მოინახულეს, ასევე, ინფორმაცია მიიღეს ადგილობრივი სწავლების სისტემის შესახებ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ქართველი პედაგოგების ჯგუფი დიდ ბრიტანეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად უკვე მეორედ გააგზავნა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის ბრძანებით, 2011-2012 სასწავლო წლიდან, აკრედიტებულ და ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში ინგლისური ენის სწავლება სავალდებულო ხდება. ბაკალავრიატის ხარისხის დამადასტურებელი საბუთის დიპლომის მისაღებად აუცილებელია სტუდენტმა ინგლისური ენის გამოცდა წარმატებით ჩააბაროს.

სტუდენტების საერთაშორისო აკადემიური სტატუსის მქონე ინგლისური ენის შესწავლით დაინტერესება სახელმწიფო პოლიტიკაა და მისი მიზანია, საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ ევროპულ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება ხდება რელევანტური იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას წელს დაიწყებენ. იმ შემთხვევაში, თუ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად აირჩიეს ინგლისური, მათ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება მოუწევთ. ხოლო იმ სტუდენტებს, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარეს და უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლიან სხვა უცხო ენას, მათ ინგლისური ენის ცოდნა მხოლოდ B1 დონეზე მოეთხოვებათ.

ინგლისური ენის გამოცდისგან განთავისუფლდებიან სტუდენტები, რომლებიც ფლობენ TOEFL-ისა და სხვა საერთაშორისო აღიარების მქონე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

აკრედიტებულ და ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში ბაკალავრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად ინგლისური ენის გამოცდას ჩაატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრი. ინგლისური ენის გამოცდის ჩატარების უფლება ასევე მიეცემათ იმ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც შესაბამის ლიცენზიას სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღებენ.

* * *

პირველ სექტემბერს, ოკუპირებული გალის რაიონში მოქმედმა ოცდათერთმეტმა სკოლამ სასწავლო პროცესი განაახლა. პირველ სექტემბერს 400-მდე მოსწავლემ პირველად შეაღო სკოლის კარი. საერთო ჯამში, გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე 4300-მდე მოსწავლე სწავლობს.

გალის რაიონის სკოლების მოღვაწეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსული ოკუპაციის ფონზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეშვეობით, უზრუნველყოფს ოკუპირებული გალის რაიონის პედაგოგთა და მოსწავლეთა ჩართულობას საქართველოს საგანმანათლებლო რეფორმის ყველა პროცესში.

* * *

2011 წლის16-21 აგვისტოს, ბაკურიანში, აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის და ზუგდიდის წმ. გიორგის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის მოეწყო 5-დღიანი საზაფხულო ბანაკი „ახალგაზრდები უკეთესი მსოფლიოსათვის“. საზაფხულო ბანაკის ორგანიზატორი იყო ახალგაზრდული ასოციაცია „დრონი“. მხარდამჭერები: ევროპის ახალგაზრდული ფონდი, ევროსაბჭო და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

საზაფხულო ბანაკში სულ 50 მოსწავლე მონაწილეობდა.

ინფორმაცია

ტრენინგები ევროპის საბჭოს მიერ გამოცემული საბავშვო სახელმძღვანელოს „ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო კომპასიტო“ მიხედვით ჩატარდა და მთლიანად დაეთმო ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს: რა არის ადამიანის უფლებები? ადამიანის უფლებები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპის საბჭო. სასწავლო პროგრამის ფარგლებში ჩატარდება შემეცნებით-გასართობი აქტივობები: თეატრალური წარმოდგენა, სპორტული თამაშები, ექსკურსიები და სხვ.

* * *

USAID-ის პროგრამის ფარგლებში, 2011 წელს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახალვაშოსა და გორგაძეების საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში სკოლა გადაიხურა, შეიღება ჭერი, მოწესრიგდა სველი წერტილები, დამონტაჟდა გათბობის სისტემა, შეიღება საკლასო ოთახები და დერეფნები.

* * *

აჭარის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებით ბათუმის საზღვაო აკადემია თითქმის მთლიანად გარემონტდა და თანამედროვე სასწავლო ინვენტარით აღიჭურვა. სექტემბრიდან მომავალი მეზღვაურებისთვის სასწავლო პროცესი ევროპული საზღვაო-საგანმანათლებლო პროგრამების იდენტური იქნება. მიმდინარეობს აკადემიის ლექტორ-მასწავლებლების გადამზადებაც.

ბათუმის საზღვაო აკადემია უახლოეს პერიოდში გააფორმებს ხელშეკრულებას და დაამყარებს კონტაქტს 6 მსხვილ საკრუინგო კომპანიასთან, სადაც სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გაივლიან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პრაქტიკა მომავალ მეზღვაურებს მნიშვნელოვნად დაეხმარება დასაქმებაში. აკადემია საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის წევრია, ასევე აქტიურად თანამშრომლობს სააგენტო „პოსეიდონსა“ და კომპანია „GTS“-თან.

* * *

მინისტრის 12 ივლისის N453 ბრძანების საფუძველზე, პირს, რომელიც სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე არ დარეგისტრირდა ან ვერ მიიღო სრული ატესტატის მოპოვებისთვის საჭირო საგნებში დადებითი შეფასება და სურს სწავლა განაგრძოს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ეძლევა სპეციალური სერიის მქონე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ხაზს ვუსვამთ იმ ფაქტს, რომ სპეციალური სერიის მქონე ატესტატის მფლობელი ვერ ისარგებლებს საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და მობილობის უფლებით.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ცეზარ ჩოჩელმა „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადასცეს.

2010-2011 წლისათვის მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 10 ოქროსა და 17 ვერცხლის მედალოსანია. მედლების გადაცემა წეროვანის №3 საჯარო სკოლაში განხორციელდა.

პრეზიდენტის ინიციატივით, მოსწავლეთა წახალისების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამას“ რამდენიმე წელია ახორციელებს, მის ფარგლებში 2010-2011 წლისათვის 877 ოქროსა და 1122 ვერცხლის მედალი გაიცემა.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სულ 85 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს. ბევრ მათგანს წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. მოხდა სკოლების სახურავების შეკეთება და განახლება, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, დამონტაჟდა თანამედროვე გათბობის სისტემები. სკოლები აღიჭურვა ახალი მერხებითა და დაფებით.

წელს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სკოლებს სულ 1015 პირველკლასელი შეემატება, რომლებსაც ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მათთვის განკუთვნილ ბუკებს გადასცემს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი მანდატურებს შეხვდა და სკოლაში მათი მუშაობის განვლილი ერთი წელი შეაჯამა. ამ ხნის განმავლობაში სკოლებში დამკვიდრდა დისციპლინა, გაიზარდა მოსწავლეთა დასწრება, აღმოიფხვრა დანაშაულის ფაქტები. მიღწეული შედეგების გამო მინისტრმა მანდატურებს მადლობა გადაუხადა და განმარტა, რომ სამინისტრო მომავალშიც იზრუნებს მათ პროფესიულ ზრდაზე.

შეხვედრაზე მანდატურის სამსახურში განხორციელებულ სიახლეებზეც ისაუბრეს. ზაფხულის განმავლობაში მანდატურები სხვადასხვა მიმართულებით გადიოდნენ გადამზადებას, სწავლობდნენ კომპიუტერსა და ინგლისურ ენას, გაიარეს ბავშვებთან მუშაობის ფსიქოლოგიური კურსიც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზაფხულის პერიოდში ისინი სამაშველო კურსსაც გადიოდნენ. ყველა სკოლაში სამიდან ერთ მანდატურს მაშველის კვალიფიკაცია აქვს.

ყველა მოქმედ მანდატურს ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, სამართალდარღვევებზე რეაგირების წესზე, პროფესიულ ეთიკასა და აკადემიურ წერაზე, უნარშეზღუდულ და ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან კონტაქტის დამყარებაზე ტრენინგები ჩაუტარდათ, რაც მათ დაეხმარებათ საქმიანობა უფრო ეფექტური გახადონ, სწორი კვალიფიკაცია მისცენ საქმიანობისას გამოვლენილ სამართალდარღვევებს და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ მათზე.

სასწავლო დაწესებულებების მანდატურებმა სამაშველო კურსებიც გაიარეს. სამაშველო საქმიანობა დახმარებისა და საფრთხეებისაგან მოსწავლეთა დაცვის სხვადასხვა მეთოდებისა და საშუალებების ცოდნას მოიცავს, იგულისხმება როგორც ბუნებრივი ასევე, სპონტანურად შექმნილი საფრთხეები. მანდატურებმა შეისწავლეს ქიმიური, რადიაციული და ბიოლოგიური დაბინძურების დროს უსაფრთხოების ნორმების დაცვა, წყალთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან აცილება. მანდატურები პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ნებისმიერ საგანგებო სიტუაციაში შეძლებენ, მათ შორის სატრანსპორტო უბედური შემთხვევის, ხანძარის, მიწის ძვრის, წყალდიდობის, მეწყერის და ა.შ.

ახალი სასწავლო წლიდან ყველა მოქმედი მანდატური სკოლებში სხვადასხვა სახის დარღვევების აღრიცხვის ფურცელს ელექტრონულად შეავსებს. დარღვევის თითოეული ფაქტი კომპიუტერში დაფიქსირდება და სასწავლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს ელექტრონულად გადაეცემა. ეს პროგრამა მანდატურებს სწრაფ და ხარისხიან მუშაობაში დაეხმარება.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის რექტორს კლაუს დიკს და უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაცვლითი პროგრამების ამოქმედებას, ერთობლივი ლექციების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტს 45 წლის თანამშრომლობა აკავშირებთ. ამ ხნის განმავლობაში ორი უმაღლესი სასწავლებელი ერთობლივ პროექტებს ახორციელებს. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედებს სამაგისტრო პროგრამა, რომელიც პროგრამის პრაქტიკული ნაწილის გავლას იენის უნივერსიტეტში გულისხმობს.

თსუ-სთან მომავალ თანამშრომლობაზე გაგრძელდა საუბარი უცხოელი სტუმრების მინისტრთან შეხვედრისას. იენის უნივერსიტეტის რექტორთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობდნენ ეკონომიკის და ფილოსოფიის ფაკულტეტების დეკანები და საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელი, თსუ-ს რექტორი.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენცია, შეხვედრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის დეკანებთან და პროფესორებთან.

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრმა შაშკინმა და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე საჯარო სკოლების დირექტორებთან შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე დირექტორებისთვის საინტერესო ყველა საკითხი იყო განხილული. მინისტრმა სკოლების ხელმძღვანელებს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა კიდევ ერთხელ გააცნო. დიმიტრი შაშკინმა ყურადღება გაამახვილა ბუკებსა და პირველი კლასიდან ინგლისური ენის სწავლებაზე, ასევე ისაუბრა აბიტურის საათებსა და დირექტორებისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზეც. ღონისძიების მონაწილეებმა მინისტრს კითხვები დაუსვეს და თითოეულმა მათგანმა ამომწურავი პასუხი მიიღო.

შეხვედრას საქართველოს ყველა რეგიონიდან 150 დირექტორი დაესწრო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მსგავს შეხვედრებს მომავალშიც გამართავს.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში დიდი ქართველი მეცნიერის ნიკო მუსხელიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. ღონისძიებას სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სამეცნიერო კონფერენცია „უწყვეტ გარემოთა მექანიკა და ანალიზის მონათესავე საკითხები“ 6 დღე გაგრძელდება და მასში ქართველ მათემატიკოსებთან ერთად აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, შვეიცარიის, ავსტრიის, შვედეთის, ირლანდიის, პოლონეთის, პორტუგალიის, მექსიკისა და რუსეთის 20-მდე მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას.

ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებლისა და მსოფლიო დონის ქართველი მეცნიერის ნიკო მუსხელიშვილის საიუბილეო კონფერენცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საკონფერენციო გრანტების კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა. მათემატიკისა და მექანიკის სამეცნიერო მიმართულებით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდს დღემდე 50-ზე მეტი საგრანტო პროექტი საერთო ბიუჯეტით, დაახლოებით, 5 მლნ ლარით აქვს დაფინანსებული.

„ახალი განათლების“ წიგნის თაროზე



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

პირველად საქართველოში, მსოფლიოს ისტორიიის ენციკლოპედია გლობალურ კონტექსტში, უნიკალური ილუსტრაციებით, რუკებითა და ფოტომასალით.

ეს წიგნი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ერთადერთი ქართული გამოცემაა, რომელშიც მკითხველი გაეცნობა უამრავ საკვირველ და თანაც ნამდვილ ამბებს ადამიანებზე, ქვეყნებსა თუ მოვლენებზე, რომელთა წყალობითაც შეიქმნა ის მრავალფეროვანი სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ.

ეს წიგნი დაგეხმარებათ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობისას, რადგან აქ მსოფლიოს ისტორიის თითოეული ეტაპი ამა თუ იმ ქვეყანასთან, კონტინენტებთან მიმართებაში დაწვრილებით, თემატურადაა განხილული – დასაბამიდან დღემდე – ქვის ხანის ადამიანებიდან რუსეთ-საქართველოს ომით დამთავრებული.

წიგნი გამოცემულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე და მთელ მსოფიოში უნიკალურ სამაგიდე წიგნადაა აღიარებული.

ზომა: A4, 496 გვერდი, მაგარ ყდაში, სუპერგარეკნით.

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია



წიგნში მოცემულია 1000-ზე მეტი ფერადი ილუსტრაცია. გაეცნობით ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, ობობების და სხვა უხერხემლოების შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას. წიგნი შედგენილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

მოიცავს ყველა ძირითად ეტაპს ხელოვნებაში, რენესანსიდან დაწყებული XX საუკუნის მასკულტურით დამთავრებული. ტექსტითა და უხვი ილუსტრაციებით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დიდ მხატვრებსა და ხელოვნებაში ახალ მიმდინარეობებზე. კონკრეტული მხატვრების ნამუშევრები ანალიტიკურ მოდულებშია გამოყოფილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს და დააფასოს მათი უაღრესად მრავალფეროვანი ტექნიკა. წიგნში მოთხრობილია ხელოვნებაში წლების წინ დამკვიდრებული თემებისა და ჟანრების შესახებ, როგორიცაა შიშველი ფიგურა, ნატურმორტი, პეიზაჟი, ქალაქური ცხოვრება და სხვ.

ვაცნობიერებთ რა ამ ენციკლოპედიების მნიშვნელობას სკოლებისა და პედაგოგებისთვის გთავაზობთ გრანდიოზულ ფასდაკლებას:

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია – 35 ლარი
საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია – 26 ლარი
ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია – 30 ლარი

ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ 30 სექტემბრამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

ჯეჯოჯვიერთდით!

გამოვიდა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ სერიიდან სამი ახალი ტომი:

ფიოდორ დოსტოევსკი – „მკვდარი სახლის ჩანაწერები“
სტენდალი – „წითელი და შავი“
შოდერლო დე ლაკლო – „სახიფათო კავშირები“

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი

„რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.